გარემოს დაცვის, ბუნებრივი რესურსების მართვის და აგრარულ საკითხთა კომისიის სხდომა

ოქმი#11

24 ნოემბერი 2020 წელი

ქ.ბაღდათი

11.00სთ

სხდომას თავმჯდომარეობდა: გია სახამბერიძე

გარემოს დაცვის, ბუნებრივი რესურსების მართვის და აგრარულ საკითხთა კომისიის სხდომას ესწრებოდნენ

კომისიის წევრები:

შადიმან გორგოძე
ზაზა ზივზივაძე
კობა მშვილდაძე
დიომიდე კიკნაველიძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი: გიორგი ნერგაძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თ/მოადგილე: ნოდარ გიორგიძე

სურსათის უვნებლობის სამსახურის წარმომადგენელი: გია კოტორეიშვილი

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი: ლერი გუმბერიძე

ა.(ა).ი.პ ბაღდათის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრის დირექტორი ნატო მაჩიტაძე

სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. ინფორმაცია: „მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ კვების ობიექტებში, აგრარულ ბაზრებში და ჰიგიენურ სალონებში სანიტარული მდგომარეობისა და სურსათის უვნებლობის კუთხით გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხს: ნატო მაჩიტაძე

თანამომხსენებელი: გია კოტორეიშვილი

2. ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2021 წლის პრიორიტეტების დოკუმენტისა და ბიუჯეტის პროექტის განხილვის შესახებ.

მომხს: ლერი გუმბერიძე

სხდომაზე დამსწრე კომისიის ყველა წევრი თანახმაა განიხილონ დღის წესრიგის მიხედვით წარმოდგენილი საკითხი

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: საკითხი1 კომისიის თავმჯდომარემ გია სახამბერიძემ წარმოადგინა საკითხი: ინფორმაცია: „მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ კვების ობიექტებში, აგრარულ ბაზრებში და ჰიგიენურ სალონებში სანიტარული მდგომარეობისა და სურსათის უვნებლობის კუთხით გაწეული მუშაობის შესახებ. აღნიშნულ საკითხზე მოხსენება გააკეთა ა.(ა).ი.პ ბაღდათის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრის დირექტორი ნატო მაჩიტაძემ

კომისიის თავმჯდომარე: გია სახამბერიძემ კითხვით მიმართა ნატო მაჩიტაძეს ამჟამად თვითიზოლაციაში რამდენი ადამიანია

ა.(ა).ი.პ ბაღდათის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრის დირექტორი: ნატო მაჩიტაძემ უპასუხა გია სახამბერიძეს, რომ თვითიზოლაციაში არის 473 ადამიანი

კომისიის წევრი: დიომიდე კიკნაველიძე მადლობა გაწეული მუშაობისათვის გასაგებია რამდენად რთულ გარემოში გიწევთ მუშაობა კითხვას რაც შეეხება სახლში მკურნალობის დროს თუ სჭირდება გადასხმა დაავადებულს როგორ უნდა მოვიქცეთ

ა.(ა).ი.პ ბაღდათის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრის დირექტორი: ნატო მაჩიტაძემ უპასუხა დიომიდე კიკნაველიძეს, არის ოჯახის ექიმი უნდა მოხდეს ამ ექიმის მიერ გადასხმის გაკეთება და საჭიროების შემთხვევაში ე.წ .კატეს გადაღება

კომისიის თავმჯდომარე: გია სახამბერიძემ კითხვით მიმართა ნატო მაჩიტაძეს თუ ხორციელდება სანიტარული მდგომარეობის შემოწმება სილამაზის სალონების კუთხით

ა.(ა).ი.პ ბაღდათის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრის დირექტორი: ნატო მაჩიტაძემ უპასუხა, რომ წელიწადში ერთხელ შევდივართ, რისი უფლებაც გვაქვს და შესაბამისად გავცემთ რეკომენდაციებს და ვამოწმებთ ზოგად სანიტარულ მდგომარეობას

კომისიის თავმჯდომარე: გია სახამბერიძემ კითხვით მიმართა გია კოტორეიშვილს პირუტყვის აცრები თუ მიმდინარეობს

სურსათის უვნებლობის სამსახურის წარმომადგენელი: გია კოტორეიშვილმა უპასუხა გია სახამბერიძეს, გეგმიურად ვაქცინაცია მთავრდება და ვაქცინაცია ნორმალურად ჩატარებულია

გარემოს დაცვის, ბუნებრივი რესურსების მართვის და აგრარულ საკითხთა კომისიამ ინფორმაცია: „მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ კვების ობიექტებში, აგრარულ ბაზრებში და ჰიგიენურ სალონებში სანიტარული მდგომარეობისა და სურსათის უვნებლობის კუთხით გაწეული მუშაობის შესახებ. აღნიშნული საკითხი მიიღო ცნობის სახით

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: საკითხი2 კომისიის თავმჯდომარემ გია სახამბერიძემ წარმოადგინა საკითხი: ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2021 წლის პრიორიტეტების დოკუმენტისა და ბიუჯეტის პროექტის განხილვის შესახებ აღნიშნულ საკითხზე მოხსენება გააკეთა ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი: ლერი გუმბერიძემ

კომისიის თავმჯდომარე: გია სახამბერიძემ კითხვით მიმართა ლერი გუმბერიძეს სოფ. დიმის კულტურის სახლის რემონტი თუ იგეგმება

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი: ლერი გუმბერიძემ უპასუხა გია სახამბერიძეს, რომ სოფ. დიმის კულტურის სახლის რემონტი ჯერ-ჯერობით არ იგეგმება თუმცა განხილვის საგანია

გარემოს დაცვის, ბუნებრივი რესურსების მართვის და აგრარულ საკითხთა კომისია გაეცნო ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2021 წლის პრიორიტეტების დოკუმენტისა და ბიუჯეტის პროექტის განხილვის შესახებ საკითხს

სხდომის დღის წესრიგის მიხედვით საკითხები ამოიწურა
სხდომა დახურულად გამოცხადდა

კომისიის თავმჯდომარე: გია სახამბერიძე